

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #2

ქ. თბილისი

2024 წლის 2 თებერვალი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1. ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. ლელა ბახტაძე 5. მარინა მაისურაძე 6. საბა გოგიბერიძე 7. ელენე გაჩეჩილაძე 8. ლია მაჭავარიანი 9. ამირან ბიბილაშვილი 10. მარიამ ახალკაციშვილი 11. მაკა მურვანიძე 12. ვასილ ბერიძე 13. მარინა გარიშვილი 14. მაია ივანიძე 15. გიორგი თუმანიშვილი 16. ბარბარა მახარაძე 17. ხათუნა მაისაშვილი 18. ნათია სვანიძე 19. ავთანდილ ტუკვაძე 20. ალექსანდრე გაბაშვილი 21. კახა კუჭუხიძე 22. ნინო პაქსაშვილი 23. ვლადიმერ გამსახურდია 24. იზაბელა პეტრიაშვილი 25. ვლადიმერ მარგველაშვილი 26. გიორგი პატარაია 27. კახაბერ ლორია 28. ანასტასია ზაქარიაძე 29. მანანა რუსიშვილი 30. ლერი თავაძე 31. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 32. ინგა სანიკიძე 33. ლუკა მამალაშვილი 34. ლუკა წარმანია 35. ზურაბ გაიპარაშვილი 36. ნინო პავლიაშვილი 37. ციური სუმბაძე 38. სოფიო ხუციშვილი 39. ლალი ახალბედაშვილი 40. ადა ნემსაძე 41. თეიმურაზ მაჩაიძე 42. თამილა ჩალაძე 43. ედიშერ ფუტკარაძე 44. მანანა ნიკოლაიშვილი 45. მარინა გურგენიშვილი 46. მარინე ხუციშვილი 47. გვანცა გვანცელაძე 48. ნოდარ ლომიძე (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა დასამტკიცებლად წარმოადგინა დღის წესრიგი, გარკვეული დაზუსტებით, კერძოდ, რიგი საკითხების განხილვა, მათ შორის, იმ საკითხებისა, სადაც მონაწილეობს აკადემიური საბჭო გადაიღო სხვა დროისთვის. ასევე დაზუსტდა დღის წესრიგის მე-2 საკითხის მომხსენებლები: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილში მომხსენებელია ვაჟა ტრაპაიძე, ხოლო ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს წარმოადგენს - მანანა მელიქიშვილი.

შესაბამისად, სენატის სპიკერის მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირებული დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისთვის სტატუსის შეწყვეტისა და უფლებამოსილების ცნობის საკითხი (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №4/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: მაია ბინკინაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი, გიორგი ლალანიძე, სალომე დუნდუა, ვაჟა ტრაპაიძე, თამარ ზარანდია, მანანა მელიქიშვილი);
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და ხარჯების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);
4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 იანვრის №9/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);

### **დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ. მისი განმარტებით, სამდივნომ გამოითხოვა ინფორმაცია სენატის წევრი სტუდენტების თაობაზე სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტიდან. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს საბა ლოლაძეს ამ დროისათვის აღარ აქვთ სტუდენტის სტატუსი. შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, მას ასევე უნდა შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა. საბა ლოლაძის ადგილმონაცვლე, როგორც არჩევნებში მორიგი მაღალრეიტინგული მონაწილე არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი გიორგი ლაბაძე.

1.1. თავდაპირველად კენჭი ეყარა საბა ლოლაძისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

საბა ლოლაძეს შეუწყდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

1.2. ცალკე ეყარა კენჭი გიორგი ლაბაძისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

ცნობილ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის - გიორგი ლაბაძის უფლებამოსილება.

პირველ საკითხზე კენჭისყრის დასრულების შემდგომ, წარმომადგენლობით საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ სენატის წევრები და მეორე საკითხის განხილვისათვის სხდომაზე დამსწრე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 48 (ორმოცდარვა).

2. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №4/2024 დადგენილება.

საკითხის განხილვის დაწყებამდე წარმომადგენლობით საბჭოს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა-ჯაბა სამუშიამ. აღნიშნა, რომ თსუ, ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც შიდა რესურსების მობილიზების შედეგად მოახერხა ხელფასების ზრდა. ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გრძელდება აქტიური მუშაობა დიფერენცირებული ხელფასების პრობლემის აღმოსაფხვრელად და გამოთქვა იმედი, რომ ეს საკითხი ნაბიჯ-ნაბიჯ დაძლეული იქნება, როგორც კი უნივერსიტეტს ამის ფინანსური შესაძლებლობა ექნება. ასევე გამოხატა

სურვილი და იმედი ხელფასების, თუნდაც მცირედით, ყოველწლიურ ზრდასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ, წარმომადგენლობით საბჭოს სიტყვით მიმართეს თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. საკითხის მომხსენებლებმა (მაია ბინკინაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი, გიორგი ლალანიძე, სალომე დუნდუა, ვაჟა ტრაპაიძე, თამარ ზარანდია, მანანა მელიქიშვილი) მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, საფინანსო დეპარტამენტს განწეული დიდი შრომისთვის და მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგებისთვის, რაც აკადემიური პერსონალისათვის შრომის ანაზღაურების ზრდაში გამოიხატა და გამოთქვეს იმედი, რომ პროცესი გაგრძელდება.

თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენელმა ისაუბრა შრომის ანაზღაურების წარმოდგენილ წესში მათი ფაკულტეტის ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებებზე. აღინიშნა, რომ დოკუმენტაცია მიწოდებული ჰქონდათ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გასაცნობად.

საკითხის განხილვის დასრულების შემდგომ, მიზანშეწონილად ჩაითვალა ცალ-ცალკე კენჭისყრის ჩატარება ფაკულტეტების მიხედვით, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №4/2024 დადგენილების დასამტკიცებლად.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრები:**

**1) მედიცინის ფაკულტეტი**

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

**2) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

**3) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

#### 4) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

#### 5) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

#### 6) იურიდიული ფაკულტეტი

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

#### 7) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №4/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 2);

3. მომხსენებლის მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და ხარჯების განაწილების წესი. კანცლერის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა სალინაძემ ისაუბრა წესში განხორციელებულ ორ ცვლილებაზე. ასევე აღნიშნა, რომ წესი განსაზღვრავს

უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს. არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების წესებს. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, ადმინისტრაციას, ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

მომხსენებელმა ასევე ითხოვა, გაუქმებულად ჩაითვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ აღრე დამტკიცებული ბიუჯეტის შედგენის წესი.

### **საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

### **მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და ხარჯების განაწილების წესი წარმოდგენილი სახით (დანართი 3);

2. გაუქმებულად/ძალადაკარგულად ჩაითვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ აღრე დამტკიცებული ბიუჯეტის შედგენის წესი.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ლაშა სალინაძის შერჩევის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 იანვრის №9/2024 დადგენილება გადაწყვეტილების მისაღებად. აღინიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა მიიღოს, ვინაიდან, უნივერსიტეტის წესდების თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ფარული კენჭისყრით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანცლერობის კანდიდატის, ლაშა სალინაძის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა კონცეფცია და სამოქმედო გეგმა პრეზენტაციის სახით (კანდიდატის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, ასევე სხვა დოკუმენტაცია, დადგენილ ვადებში და წესით გადაგზავნილი იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან გასაცნობად). კანდიდატმა სხდომას მოახსენა თავისი ავტობიოგრაფიის, ასევე სამუშაო გამოცდილების შესახებ. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) პოზიცია უკავია 2019

წლის 26 დეკემბრიდან. განმარტა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კონცეფცია და სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2023 წელს შემუშავებული უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარების გეგმის პროექტს. დეტალურად ისაუბრა უნივერსიტეტში უკვე განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, წარმოადგინა დღემდე განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების მოკლე აღწერა. ისაუბრა წარმოდგენილი კონცეფციის ირგვლივ, კერძოდ, უნივერსიტეტის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, განვითარების შესაძლებლობებზე, საფრთხეებზე... წარმოადგინა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის პროექტით გამოკვეთილი სუსტი მხარეების ეტაპობრივად დაძლევის მიზნით შემუშავებული სამოქმედო გეგმა. სხდომას მოახსენა არასაკმარისი მარკეტინგული აქტივობების დაძლევის გზებზე, მოქნილი და ეფექტურ მომსახურებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციის ჩამოყალიბების საჭიროებაზე.

კანდიდატმა ასევე ყურადღება გაამახვილა ისეთ პრობლემებზე, როგორცაა - ტექნოლოგიების გადაცემის/კომერციული კვლევების მცირე რაოდენობა, კვლევის ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი მხარდაჭერაზე, არასაკმარისი/მოძველებული დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის ლაბორატორიებსა და სასწავლო ფართზე, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობაზე და ისაუბრა თითოეული ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე და სხვ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს საშუალება ჰქონდათ ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატისთვის დაესვათ შეკითხვები.

უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა კანდიდატს. აღნიშნა, რომ იგი არის თავისი საქმის მცოდნე, პროფესიონალი, კეთილსინდისიერი ახალგაზრდა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა სამომავლო საქმიანობაში. კანდიდატს ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა კახაბერ ლორიამ, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა...აღნიშნეს, რომ კანდიდატის დიდი გამოცდილება, გულისხმიერება და მოტივაცია არის ის მთავარი არგუმენტები, რის გამოც ისინი მხარს დაუჭერენ წარმოდგენილ კანდიდატს.

სენატის სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, წარმატებები უსურვა მას. შემდგომ განმარტა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების ფარული კენჭისყრის პროცედურა და წესი. აღნიშნა, რომ ფარული კენჭისყრის პროცედურა დაიწყება 12 საათზე და დასრულდება 13 საათზე, რის შემდეგაც წარმომადგენლობითი საბჭო კვლავ შეიკრიბება საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი შედეგების დასადასტურებლად.

ფარული კენჭისყრის დასრულების შემდგომ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მერი კაპანაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას მოახსენა არჩევნების შედეგები. აღნიშნა, რომ არჩევნებმა ჩაირა მშვიდ გარემოში, დარღვევის შესახებ საჩივარი არ დაფიქსირებულა. აღნიშნა, რომ სენატის 76 წევრიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს 53-მა წევრმა. ლაშა სალინაძის ადმინისტრაციის

ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცებას მხარი დაუჭირა სენატის 52-მა წევრმა, 1 ბიულეტენი ბათილად იქნა მიჩნეული.

**მიღებული გადაწყვეტილება:** საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, თსუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 იანვრის №9/2024 დადგენილებით შერჩეული კანდიდატი - ლაშა სალინაძე დამტკიცებულ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. (დანართი 4)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდგომ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, კახა კუჭუხიძემ მიმართა სენატს და აღნიშნა, რომ თსუ კანცელარიაში მყოფი სტუდენტების სურვილია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან შეხვედრა და გასაუბრება, რაც სენატის წევრების მიერ ერთსულოვნად იქნა გაზიარებული.

თსუ სტუდენტებმა საბა ქერქაძემ და გიორგი ჯოხაძემ წარმომადგენლობით საბჭოს მიანოდეს ინფორმაცია, კეკელიძის ქუჩაზე მდებარე ბინიდან გამოსახლების დროს მიმდინარე აქციაზე, დაკავებულების - თსუ მოწვეული ლექტორის აკაკი ჩიქობავასა და ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტის გიორგი ხასაიას საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისინი კვლავ პატიმრობაში დატოვა. წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით (გაფიცვა-საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით, ფინანსური მხარდაჭერა ზიანის ანაზღაურების საკითხში (თავად მათთან შეხვედრაზე მისული პროფესორთა ნაწილის ინიციატივიდან გამომდინარე) და სხვა). თემის ირგვლივ გაიმართა ხანგრძლივი დისკუსია. სენატის წევრთა მხრიდან დაფიქსირდა პოზიცია, რომ გაფიცვა, ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის იდეას და იგი მიუღებელია, ხოლო ზიანის ანაზღაურების საკითხზე წარმომადგენლობითი საბჭოს ცალკეულ წევრთა მიერ გამოითქვა მხარდაჭერის მზადყოფნა.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. სხდომა დახურულად გამოცხადდა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

ვლადიმერ მარგველაშვილი





წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი

გიორგი ოქიტაშვილი



Handwritten signature of Giorgi Okitashvili, consisting of a stylized initial 'G' followed by a series of overlapping, sweeping lines.


დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2024 წლის 02 თებერვლის #2 სხდომა)


ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:


1. ნაზირა კაკულია -




2. მიხეილ ჩიკვილაძე -




3. ნინო ფარესაშვილი -



4. ლელა ბახტაძე -




5. მარინა მაისურაძე -



სტუდენტები:

1. დავით ნეზიერიძე -

2. საბა გოგიბერიძე -





3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე - ე. გაჩეჩილაძე


6. ლიკა წერეთელი-

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პროფესორები:


1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-




3. ნათელა არჩვაძე-


4. ამირან ბიბილაშვილი-



5. მარიამ ახალკაციშვილი-



6. მაკა მურვანიძე-




### სტუდენტები:

1. ანა ზოკერია-




2. მარიამ ვარდოსანიძე-


3. ვასილ ბერიძე- 


4. დავით შუბითიძე-

### იურიდიული ფაკულტეტი


#### პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი- 

2. მაია ივანიძე- 

3. გიორგი თუმანიშვილი- 

#### სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე- 


2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-




სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:



1. ხათუნა მაისაშვილი- 
2. ნათია სვანიძე- 6-სვანიძე
3. ავთანდილ ტუკვაძე- 6-ტუკვაძე

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი- ა. გაბაშვილი
2. კახა კუჭუხიძე- 
3. ნინო პაქსაშვილი- 6-პაქსაშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია- 3-გამსახურდია 
2. იზაბელა პეტრიაშვილი- 



სტუდენტები:


1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგვიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-




2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-



სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკვი ელკვალიფა მოჰამედ-



ქუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

1. კახაბერ ლორია

2. ანატოლი ზეკარაძე

3. ელისაბედ ბეღლია





4. მანანა რუსთველი

5. თეა ქარჩავა

6. ლეო თავაძე

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი

8. ინგა სანიკიძე



სტუდენტები:





1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-


3. ნათია კორაშვილი-

4. გიორგი ლაბაძე (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) -


5. ლუკა მამალაშვილი- 

6. ლუკა ნარმანია- 


საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი- 


ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი- 

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე- 


ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი- 




კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის  
ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-




შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-




ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-



ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-




ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი


ედიშერ ფუტყარაძე-






მ. ნოდისას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-




პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-



რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-




პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-


არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-



მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-



ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი



თეა შავაძე

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაპუაშვილი





სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 4/2024

22 იანვარი 2024წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის 16 იანვრის №797/30, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის 17 იანვრის №884/29, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის 2024 წლის 17 იანვრის №909/32, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის 17 იანვრის №931/28, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის 17 იანვრის №929/26, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 2024 წლის 18 იანვრის №1086/31-05, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის 16 იანვრის №749/27 წერილებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №1 სხდომის ოქმის საფუძველზე,


აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის

№112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6 და დანართი №7 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6, დანართი №7).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია  
რექტორი, პროფესორი  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის  
თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1870 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1340 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

#### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;



კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2030 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1740 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1460 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასოცირებული პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, **ასისტენტ-პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის  
თანამდებობრივი სარგო

1. „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1350 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 900 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ

მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

**ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

**3. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 2100 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1900 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1450 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 6 საათი საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1900 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 26 საათი - 14 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

7. წინამდებარე დანართის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

8. წინამდებარე დანართის მე-7 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;



კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 4800 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 4250 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2900 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

5<sup>1</sup>. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

- ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
- ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.

6. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1450 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს არანაკლებ სავალდებულო კვირეული 8-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 8-საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის  
აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 2020 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1720 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1420 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 - საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

#### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 3320 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2720 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2120 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.



N 1401/10  
23.01.2024

1401-10-3-202401231636



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

### წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №4/2024 დადგენილებას.

დანართი: 36 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი, აკადემიკოსი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



## სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და ხარჯების განაწილების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ბიუჯეტის შედგენის წესი (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს #672 ბრძანების, უნივერსიტეტის წესდების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.
2. წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს. არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების წესებს. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, ადმინისტრაციას, ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

### მუხლი 2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების კლასიფიკაცია

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსავლების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებია, უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშებზე ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ოპერაციებიდან მიღებული სახსრები.
3. უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებია, უნივერსიტეტისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ, მათი ამოცანებისა და ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები. არაფინანსური და ფინანსური აქტივების ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები.
4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაცია ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.
5. უნივერსიტეტის ბიუჯეტი სრულდება საკასო მეთოდით.

### **მუხლი 3. უნივერსიტეტის საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია.**

1. ყოვლისმომცველობა-ბიუჯეტის ყველა შემოსავლის, გადასახდელის და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა ბიუჯეტში;
2. გამჭვირვალობა-ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვის პროცესის საჯაროობა; დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ანგარიშგების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.
3. ანგარიშვალდებულება- საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხიმგებლობა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და გასაწევი ხარჯების შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
4. დამოუკიდებლობა-საკუთარი შემოსავლების წყაროების და გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება.

5. კონსოლიდარობა-ყველა შემოსავლებისა და გადასახდელის ხაზინის ერთიან სისტემაში მოქცევა.

#### **მუხლი 4. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროები**

უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

1. სწავლის საფასური (უნივერსიტეტის მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური), რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით, სოციალური გრანტით, პროგრამული დაფინანსებით ან სხვა დაინტერესებული სუბიექტების, მათ შორის ფიზიკური პირის მიერ გადახდილი თანხებით;
2. პროფესიული განათლების ვაუჩერული/პროგრამული დაფინანსება;
3. სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტები;
4. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის სახით მიღებული დაფინანსება და სახელშეკრულებო პროექტების შესრულებიდან მიღებული თანხები;
5. სამინისტროების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოყოფილი დაფინანსება;
6. კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
7. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

#### **მუხლი 5. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება.**

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენას უზრუნველყოფს საფინანსო დეპარტამენტი, რისთვისაც უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან საფინანსო დეპარტამენტში წარადგინონ მომავალი წლის მოსალოდნელი ხარჯების გაწევის საპროგნოზო მაჩვენებლები. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს.

3. საფინანსო დეპარტამენტი ყოველი წლის 1 აპრილიდან იწყებს მუშაობას დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე, რისთვისაც ანალიზებს: გასული წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებს, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლებს, ფინანსური აქტივების ოპერაციებს, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ მიზნობრიობას და დაფინანსების ოდენობას.

4. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არაუგვიანეს ივლისის თვისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი, მათ მიერ გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლებს. აღნიშნული მონაცემების და წინა წლის ანალიზის საფუძველზე, საფინანსო დეპარტამენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მათივე მოთხოვნის საფუძველზე, არაუგვიანეს 20 აგვისტოსი, წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, შესაბამისი სამინისტროების მიერ დასაფინანსებელი პროგრამების/პროექტების მომავალი წლის ბიუჯეტების და უნივერსიტეტის მიერ ეკონომიკური შემოსავლების ჭრილში გასაწევი ხარჯების პროექტებს.

5. საფინანსო დეპარტამენტი, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, ძირითად საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს უგზავნის მოთხოვნას,

უნივერსიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში, მათ მიერ გასაწევი საორიენტაციო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოწოდების თაობაზე.

6. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანები და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და საფინანსო დეპარტამენტთან ინდივიდუალური შეხვედრების, კონსულტაციების, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, არაუგვიანეს 15 დეკემბრისა წარმოადგენენ ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ (ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოების მიერ შეთანხმებულ/განსაზღვრულ) მომავალი წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტში გასაწევი ხარჯების პროექტებს;

7. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხარჯები უნდა ეყრდნობოდეს: საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელ ხარჯებსა და უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებს.

8. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი უნდა მოიცავდეს: გასული წლის გარდამავალი ნაშთის, მოსალოდნელი შემოსავლების და გადასახდელების შესახებ ინფორმაციას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.

9. პროგრამული კოდებით განსაზღვრული ფინანსური რესურსები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების, მიზნებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ დანახარჯებს.

10. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს, სხდომის ჩატარებამდე 3 სამუშაო დღით ადრე, დასამტკიცებლად წარუდგენს

ბიუჯეტის პროექტს. აკადემიური საბჭო მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში.

11. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს და ამტკიცებს მას, ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

12. თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაეთანხმა წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტის პროექტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

13. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვს, ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი ვარიანტი სათანადო დასაბუთებით დასამტკიცებლად დაუბრუნოს წარმომადგენლობით საბჭოს. წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენილ დასაბუთებას უნდა ერთოდეს აკადემიური საბჭოს წინადადებები.

14. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის პროექტის განმეორებითი დაუმტკიცებლობა იწვევს ადმინისტრაციის ხელმძღვანლის უფლებამოსილების შეწყვეტას. ბიუჯეტის პროექტი დამტკიცდება ახლად არჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

15. აუცილებლობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებები, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯამური ასიგნებების 10%-ის ფარგლებში, საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობას, ხოლო უნივერსიტეტის პროგრამებს, ქვეპროგრამებს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს და კვარტლებს შორის სხვა ცვლილებები, რომელთაგან თითოეული აღემატება 10 000 ლარს, საჭიროებს უნივერსიტეტის რექტორთან არსებული შესაბამისი საბჭოს თანხმობას. ამასთან ის ცვლილებები, რომელთაგან თითოეული არ აღემატება 10 000 ლარს განხორციელდება საფინანსო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციის

ხელმძღვანელთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში, კალენდარული წლის ბოლოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაზუსტება ხდება საკასო ხარჯების მიხედვით.

16. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მომდევნო წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ 10 სამუშაო დღის ვადაში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა სამართლებრივი აქტი ბიუჯეტის კვარტალურ განწერის დამტკიცების თაობაზე.

17. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანებმა, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის და სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა, ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ფინანსების მიზნობრივი გამოყენება.

18. საფინანსო დეპარტამენტი უზრუნველყოფს, ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შედეგების ანალიზს და შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას განათავსებს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ასევე, ყოველკვარტალურად, მომდევნო კვარტლის პირველი თვის 30 რიცხვამდე რექტორთა საბჭოს, წარუდგენს ინფორმაციას გაწეული ხარჯების შესახებ.

29. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, მის დამტკიცებამდე ხარჯების გაწევა შეიძლება განხორციელდეს ყოველთვიურად გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული გადასახდელების არაუმეტეს 1/12-ისა.

30. საკითხები, რომლებიც არაა დარეგულირებული აღნიშნული წესით, შესაძლებელია დარეგულირდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

## **მუხლი 6. გარდამავალი დებულება.**

1. 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცება განხორციელდეს არა უგვიანეს 2024 წლის 10 თებერვლისა.





საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 1536/10

24.01.2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს  
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

დასამტკიცებლად გიგზავნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და ხარჯების განაწილების პროექტს. ასევე, გთხოვთ გაუქმებულად ჩაითვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შედგენის წესი.

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი





სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 02 თებერვლის არჩევნები

საარჩევნო კომისიის შემადგამებელი ოქმი

|   |               |     |
|---|---------------|-----|
| ამომრეველთა რაოდენობა სიის მიხედვით   | 7             | 6   |
| არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრეველთა ხელმოწერების მიხედვით | 5             | 3   |
| მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა  | 9             | 0   |
| გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა   | 5             | 3   |
| გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა   | 3             | 7   |
| გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა   | X             | X   |
| საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ბიულეტენების საერთო რაოდენობა  | 5             | 3   |
| ბათილი ბიულეტენების რაოდენობა   | X             | 1   |
| კანდიდატისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა   |               |     |
| 1.  | ლაშა სალინაძე | 5 2 |

| განსხვავებული აზრი | ხელმოწერა |
|--------------------|-----------|
| Z                  | Z         |

|                                 |  |                    |
|---------------------------------|--|--------------------|
| საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: |  | მერი კაკაბაძე      |
| საარჩევნო კომისიის მდივანი:     |  | ზურაბ გოგუელიძე    |
| საარჩევნო კომისიის წევრი:       |  | აკაკი მიქაბერიძე   |
| საარჩევნო კომისიის წევრი:       |  | ვალერი არღუთაშვილი |
| საარჩევნო კომისიის წევრი:       |  | მირანდა მიქაძე     |
| საარჩევნო კომისიის წევრი:       |  | პავლიკა ჯაგუნავა   |
| საარჩევნო კომისიის წევრი:       |  | გიორგი სამუშია     |
| საარჩევნო კომისიის წევრი:       |  | ლუკა ტაბიძე        |



ბ.ა.....  
 ოქმის შევსების თარიღი და დრო: 2024.02.02 13:11 სთ





სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 9/20.24

23 იანვარი 2024წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 იანვრის №2 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ იქნეს **ლაშა სალინაძის** კანდიდატურა.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია  
რექტორი, პროფესორი  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



N 1402/10  
23.01.2024

1402-10-3-202401231637



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

### წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 იანვრის №9/2024 დადგენილებას.

დანართი: 1 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი, აკადემიკოსი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი